კურსის ლექტორი: ნიკა ქოიავა

კურსის სახელწოდება:

საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირება - ტრანსფორმაცია და მდგრადობა

კურსის მიზანი:

კაპიტალის ბაზარი, მისი ინსტიტუციონალური ფუნქცია და მისი რეგულირება წარმოადგენს ქვეყნის ორგანიზაციული ეკონომიკის ერთ-ერთ მასტიმულირებელ ფაქტორს. სამწუხაროდ, საქართველოში, როგორც „მუდმივი ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ“ სახელმწიფოში, მიუხედავად მრავალი საერთაშორისო დონორის მიერ გაწეული დახმარებისა, კაპიტალის ბაზარი სათანადოდ ვერ განვითარდა. ამას თავისი წანამძღვრები აქვს სოციალური, პოლიტიკური, დომინანტი დაფინანსების სტრუქტურების ფენომენის სახით, რასაც საბოლოო ჯამშიკავშირი აქვს ერთიანი სისტემური ხედვის არ არსებობაზე ქვეყანაში. ეკონომიკური თუ სხვა ტიპის სოციალურ სისტემაში ეფექტიანი და მდგრადი განვითარებისთვის უნდა არსებობდეს საზოგადოების მხრიდან (როგორც სახელმწიფოს ასევე ბაზრის მონაწილეებსა და კერძო ზედამხედველი ინსტიტუტების მხრიდან) ერთიანი ხედვა, რაც ქვეყანაში სხვადასხვა სოციალური (მათ შორის ეკონომიკური) პროცესების პროგრესულად წარმართვისწინა პირობაა. კურსის მიზანია წარმოაჩინოს მდგრადი და ეფექტიანი კაპიტალის ბაზრის რეგულირების როლი საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების თანამედროვე ეტაპზე და კაპიტალის ბაზრის რეგულირების შესაძლებლობა ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფარგლებში.

ლექციების თანმიმდევრობა:

1. **კაპიტალის ბაზრის აუცილებლობა და მისი რეგულირების საჭიროება**
   1.1. კაპიტალის ბაზრის რეგულირების ორი მთავარი მიმართულება: ინვესტორების ინფორმაციული უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციით და ინსაიდერული ინფორმაციით სარგებლობის აღკვეთა.
   1.2. ფინანსური ანგარიშგება როგორც კომპანიის შესახებ გადაწყვეტილების მისაღები ინფორმაციის საჯაროობა და ინსაიდერული გარიგებების სამართლებრივი კატეგორიებით რეგულირდება.
2. **იდეალური სისტემის უტოპია და ლოკალური ოპტიმუმი**
   2.1. კლასიკური ნეო-ლიბერალური თეორიული მიდგომის კრიტიკა
   2.2. ინსტიტუციური თეორიის მიერ შემოთავაზებული გამოსავალი
3. **კაპიტალის ბაზრის რეგულირების ერთიანი სისტემური ჩარჩო**
   3.1. გარემო ფაქტორები - სამართლებრივი ჩარჩო, დომინანტი დაფინანსების სტრუქტურა და სოციალურ-პოლიტიკური მოწყობა
   3.2. შიდა სისტემური ფაქტორები: ფინანსური ანგარიშგების განსაზღვრა და აღსრულება
4. **საქართველოს კაპიტალის ბაზრის ტრანსფორმაცია და მიმდინარე რეფორმები**

4.1. ვაუჩერიზაციის ისტორია საქართველოში - ინფორმაციული ასიმეტრიულობის კლასიკური მაგალითი
4.2. მიმდინარე რეფორმა საპენსიო სისტემის, მიმდინარე რეფორმა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონისა, მიმდინარე რეფორმა კაპიტალის ბაზრისა